ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს,

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრის,

ჯაბა ჯიშკარიანის 2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრის ჩათვლით გაწეული საქმიანობის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 88-ე მუხლის თანახმად, წარმოგიდგენთ ანგარიშს, ჩემს მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

2017 წლის ნოემბრიდან ვარ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მე-6-ე მოწვევის,მთაწმინდის რაიონის (დამოუკიდებელი) მაჟორიტარი წევრი, სარევიზიო კომისიის წევრი. ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდი მოიცავს 2019 წლის ნოემბერს, დეკემბერსა და 2020 წლის იანვრიდან, 20 ოქტომბრის ჩათვლით.

მოგახსნებთ, რომ მე-6-ე მოწვევის საკრებულოს 2019 წლის 01 ნოემბრიდან მუშაობის პერიოდში ჩატარებულია საკრებულოს 17 სხდომა, ამდენივე ბიუროს სხდომა. ჩატარებულ სხდომებზე მიღებულ იქნა 134 დადგენილება და 388 განკარგულება, აღნიშნული სხდომებიდან არ დავესწარი 4 სხდომას.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებში მონაწილეობა:

ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიის წევრი

საანგარიშო პერიოდში კომისიამ ჩაატარა 20 კომისიის სხდომა. აქედან კომისიის წევრი ჯაბა ჯიშკარიანი დაესწრო 15 კომისიის სხდომას , კომისიამ საანგარიშო პერიოდში განიხილა 172 საკითხი, აქედან კომიის წევრი ჯაბა ჯიშკარიანი დაესწრო125 საკითხის განხილვას. კომისიის სხდომებზე განხილულია დღის წესრიგით გათვალისწინებული 153 საკითხი.

სარევიზიო კომისიის სხდომები:

2019 წლის ნოემბრიდან 2020 წლის 20 ოქტომბრის მდგომარეობით, ჩატარებულია კომისიის 14 სხდომა, სადაც განხილული იქნა 28 საკითხი, დასწრება 13 სხდომაზე 27 საკითხის განხილვა.

მთაწმინდის რაიონის მოსახლეობასთან შეხვედრები და მათთან ურთიერთობა :

2019 წლის ნოემბრიდან, 2020 წლის 20 ოქტომბრის თვის ჩათვლით, მხოლოდ გეგმიურ ოთხშაბათს, ანუ მოქალაქეთა მიღების დღეს პირადად 150 მოქალაქეს შევხვდი, ჩემი წარმომადგენლები - 120 მოქალაქეს... პრობლემები,რომლებიც შეხვედრაზეა ხოლმე წარდგენილი----, ძირითადად სოციალურ, ინფრასტრუქტურულ, ჯანდაცვისა და მიწის ლეგალიზაციის მიმართულებით არსებულ საკითხებს, ასევე მთაწმინდის რაიონის ტერიტორიაზე არსებული კულტურული მემკვიდრეობის სტატუსის მქონე (თბილისური ეზოს) ტიპის მრავალბინიანი საცხოვრებელი შენობების ავარიულობა და მათი გამაგრება აღდგენით საკითხებს ეხებოდა.

საანგარიშო პერიოდში, წარმომადგენლობაში შემოსულია მოქალაქეების 102 განცხადება, აქედან (63განცხადება უშაულოდ კანცელარიით, 39 განცხადება ელექტრონულად მეილისა და სხვა ელექტრონული კომუნიკაციების საშუალებით, კარანტინისა და დისტანციური მუშაობის პერიოდში) რომელთაც შესაბამის უწყებებთან წერილობითი შუამდგომლობა.

გაეწიათ. მათი დიდი ნაწილი დადებითად გადაწყდა, ნაწილი კი სირთულიდან გამომდინარე, დამუშავების პროცესშია.

ასევე ზეპირი შუამდგომლობა (შტანილ განცხადებაზე) გაეწია 70-მდე მოქალაქეს მთაწმინდის რაიონის გამგეობა, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიასა და სხვადასხვა სამინისტროებსა თუ უწყებებთან.

აქტიურად ხდება მისამართებზე, ეზოებსა და სახლებში გასვლითი შეხვედრები. მოქალაქეთა განცხადების საფუძველზე, შესაბამის სამსახურებთან ერთად, ამ დროისათვის 52 მისამართი გვაქვს შესწავლილი.

ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მთაწმინდის რაიონის მაჟორიტარი წევრი

ჯაბა ჯიშკარიანი